# JULIUS MEINL BARISTA CUP 2024

## წესები და პირობები

## 1 ზოგადი ინფორმაცია და გამოყენების სფერო

1.1 Julius Meinl Austria GmbH (შემდგომში **“ორგანიზატორი“)** ჩაატარებს Julius Meinl Barista Cup 2024-ს (შემდგომში “**გამოწვევა**”). იქიდან გამომდინარე, რომ „გამოწვევის“ საკონკურსო რაუნდები (პირველი ეტაპი, მეორე ეტაპი, ან/და მესამე ეტაპი) გაიმართება სხვადასხვა ქვეყანაში, ადგილობრივად მათი ორგანიზება მოხდება უშუალოდ ამ ქვეყნის შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზატორის მიერ, რომელიც განსაზღვრულია დანართ 1-ში.

1.2 „გამოწვევა“ ორგანიზებულია და ტარდება „ორგანიზატორის“ მის ჯგუფში შემავალი კომპანიების, მათი საქმიანობის, ექსპერტის იმიჯის, პროდუქტებისა და შეთავაზებების ხელშეწყობის მიზნით.

1.3 „გამოწვევა“ ტარდება სამ ეტაპად: პირველი (ონლაინ) საკონკურსო რაუნდი **("პირველი ეტაპი"),** მეორე (ადგილობრივი) საკონკურსო რაუნდი **("მეორე ეტაპი")** და მესამე (ფინალური) რაუნდი **("მესამე ეტაპი").** „გამოწვევაში“ მონაწილეობა უფასოა.

1.4 ეს წესები და პირობები მის დანართებთან ერთად ("**პირობები**") დაკავშირებულია „გამოწვევასთან“ და იურიდიულად სავალდებულოა „გამოწვევის“ თითოეული მონაწილისთვის **("მონაწილე").** „გამოწვევაში“ რეგისტრაციით „მონაწილე“ ეთანხმება ამ „პირობებს“ და იძლევა გარანტიას, რომ მას აქვს სამართლებრივი ქმედუნარიანობა, იმისთვის, რომ მიიღოს მონაწილეობა და დაეთანხმოს აღნიშნულ „პირობებს“.

1.5 ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს „გამოწვევა“, ან შეცვალოს ეს „პირობები“, საკუთარი შეხედულებისამებრ. ნებისმიერი ცვლილება მონაწილეებს ეცნობებათ დროულად. „გამოწვევის“ ცალკეულ ეტაპებზე შეიძლება გავრცელდეს დამატებითი წესები და პირობები, რაც უნდა მოიცავდეს, მონაწილეობის პირობებსაც.

1.6 მონაცემთა კონფიდენციალურობის განაცხადი (დანართი 6) არის ამ „პირობების“ არსებითი შემადგენელი ნაწილი და უნდა იქნას განხილული ამ „პირობებთან“ ერთობლიობაში.

## 2 მონაწილეობის პირობები და მონაწილეობაზე უარის თქმა

2.1 „გამოწვევა“ ღიაა ყველა თანამშრომლისთვის, რომლებიც არიან ბარისტები ყველა იმ კაფეში, რესტორანში, სასტუმროში ან ბარში, რომელიც მომხმარებელს ოფიციალურად სთავაზობს და უმასპინძლდება Julius Meinl-ის ყავით. შრომითი ურთიერთობა ამ პირებთან უნდა არსებობდეს „გამოწვევის“ მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

2.2 „გამოწვევა“ არ არის ღია ორგანიზატორის ან ნებისმიერი მესამე მხარის იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან „გამოწვევაში“, როგორც მრჩევლები, კონსულტანტები, ჟიურის წევრები და ა.შ. აგრეთვე, მათი უშუალო ოჯახის წევრებისთვის (მათ შორის, მეუღლე, მშობლები, ბებია, ბაბუა, შვილები, ძმები, დები, ბიძები, დეიდები/მამიდები და ბიძაშვილები/მამიდაშვილები/დეიდაშვილები).

2.3 განაცხადის ფორმის წარდგენისას მონაწილე უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის.

2.4 მონაწილე უნდა იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მონაწილეობს „გამოწვევაში“.

2.5 მონაწილეს საკუთარ რეზიდენტობის ქვეყანაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ „გამოწვევის“ პირველ ეტაპზე (იხ. პარაგრაფი 5.1) და მეორე ეტაპზე (იხ. პარაგრაფი 5.3.4).

2.6 ორგანიზატორს უფლება აქვს არ მიიღოს მონაწილის განაცხადი მიზეზის განმარტების გარეშე. კერძოდ, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მოახდინოს მონაწილის დისკვალიფიკაცია ან/და გამორიცხვა გამოწვევიდან, მით უმეტეს, თუ:

2.6.1. მან მიუთითა არასწორი (პერსონალური) მონაცემები განაცხადის ფორმაში (იხ. პარაგრაფი 3.1);

2.6.2. „ორგანიზატორს“ აქვს მყარი საფუძველი იფიქროს, რომ მონაწილეს შეეძლო დაერღვია ან არღვევს წინამდებარე „პირობებს“ ან სხვა სავალდებულო რეგულაციას.

2.7 „გამოწვევაში“ მონაწილეობის უფლება არის პერსონალური და არ შეიძლება გადაეცეს სხვას. „მონაწილემ“ პირადად უნდა მიიღოს მონაწილეობა „გამოწვევის“ ყველა ეტაპზე და უფლება არ აქვს დასახმარებლად მოიწვიოს ნებისმიერი მესამე პირი.

2.8 „ორგანიზატორი“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს მტკიცებულებები, იმის თაობაზე, რომ მონაწილე ნამდვილად შეესაბამება გამოწვევაში მონაწილეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (იხ. პარაგრაფები 2.1 – 2.4. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არ წარმოდგენას შესაძლოა მოჰყვეს მონაწილის დისკვალიფიკაცია და ყველა მიღებული პრიზის ჩამორთმევა. ორგანიზატორების ყველა გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ ექვემდებარება განხილვას და სავალდებულოა შესასრულებლად.

2.9 „გამოწვევის“ ყველა ეტაპის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები განსაზღვრულია დანართ A-ში.

## 3 ონლაინ რეგისტრაცია

3.1 ონლაინ რეგისტრაციის პროცესი მონაწილემ უნდა განახორციელოს ადგილობრივი კომპანიის ვებ გვერდზე დადგენილ ვადამდე (იხ. დანართი 1) კერძოდ, შემდეგი (პერსონალური) ინფორმაციის წარდგენის გზით:

- დამსაქმებლის სახელი და მისამართი
- სახელი და გვარი
- ელ-ფოსტის მისამართი
- რეზიდენტობის ქვეყანა
- საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

3.2 მონაწილე პასუხისმგებელია განაცხადის სისრულეზე, სისწორესა და ნებისმიერ სპეციალურ ფორმატთან ან გაიდლაინთან შესაბამისობაზე. არასრული ან არასწორად ფორმატირებული წარდგენები შეიძლება დისკვალიფიცირებული და გამორიცხული იყოს გამოწვევისგან ორგანიზატორის შეხედულებისამებრ.

3.3 განაცხადის წარდგენით მონაწილე აცხადებს, რომ იგი გაეცნო, გაიაზრა და დათანხმდა იმ ფაქტს, რომ მას შეაფასებენ წინამდებარე „პირობებში“ ჩამოთვლილი კრიტერიუმების საფუძველზე და ორგანიზატორის მიერ დანიშნული ჟიურის შეხედულებისამებრ.

## 4 ჩაცმულობა

4.1 ორგანიზატორს შეუძლია გადასცეს მონაწილეს ტანსაცმელი (პერანგი და წინსაფარი) გამოწვევისთვის.

4.2 მონაწილე ვალდებულია ჩაიცვას ორგანიზატორის მიერ გადაცემული ტანსაცმელი ორგანიზატორის ზეპირი და წერილობითი ინსტრუქციების შესაბამისად.

4.3 გამოწვევის პროცესში დასაშვებია მონაწილის მიერ მხოლოდ Julius Meinl-ისა და სხვა სპონსპორების ლოგოს გამოყენება.

## 5 შეჯიბრის პირველი რაუნდი - პირველი ეტაპი

5.1 პირველი ეტაპი გაიმართება ონლაინ, ონლაინ რეგისტრაციის დასრულების შემდეგ (იხ. პარაგრაფი 3) და ცალკეულად თითოეული ქვეყნისთვის, რომელიც აღნიშნულია დანართ 1-ში, ადგილობრივი კომპანიის ვებ გვერდზე დასრულებისთვის დადგენილ დღემდე (იხ. დანართი 1).

5.2 მონაწილეები შეფასდებიან ჟიურის მიერ (იხ. პარაგრაფი 5.3) ორ კატეგორიაში:

(i) ლატე არტი და ბარისტას უნარები და (ii) საფირმო სასმელი. ყველა ნაბიჯი უნდა განხორციელდეს ონლაინ ფორმის რეგისტრაციის გზით ადგილობრივი კომპანიის ვებ გვერდზე დასრულებისთვის დადგენილ დღემდე (იხ. დანართი 1).

5.2.1 <u>ლატე არტი და ბარისტას უნარები</u>:

მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ერთი ხარისხიანი და მოკლე ვიდეო (ვიდეოს მაქსიმალური ხანგრძლივობა 3 წუთი), რომელიც წარმოაჩენს შემდეგი დავალებების შესრულების უნარებს:

- პორტფილერის ყავის აპარატში ესპრესოს პორციის მომზადება;
- რძის აქაფება;
- ლატე არტის შექმნისთვის ესპრესოში რძის თავისუფლად ჩასხმა;

ესპრესო და კაპუჩინო უნდა შეესაბამებოდეს ყავის სასმელების დანართი 3-ით განსაზღვრულ განმარტებებს.

დასაშვებია მხოლოდ ერთი ვიდეოს ატვირთვა. მონაწილე უნდა დარწმუნდეს, რომ ვიდეო არის მკვეთრი, კარგი განათებით და იძლევა თითოეული დავალების დეტალური შეფასების საშუალებას.

მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას მრავალმხრივი შთაბეჭდილება მონაწილის ყავის მომზადების უნარებთან დაკავშირებით, დაწყებული ესპრესოს პირველი პორციიდან დამთავრებული ლატე არტის საფინალო პრეზენტაციით.

ლატე არტისა და ბარისტას უნარების შეფასების დეტალური კრიტერიუმები მოცემულია მსაჯის ფურცელში - პირეველი ეტაპი (დანართი 2).

5.2.2 <u>საფირმო სასმელი</u>

მონაწილეს მოეთხოვება შემდეგი შემდეგის წარმოდგენა:

- თხევადი სასმელის რეცეპტი, რომელიც შეიცავს ესპრესოს (მათ შორის სასმელის დასახელება, ინგრედიენტები, რაოდენობა და მომზადების ინსტრუქცია)

რეცეპტში აღწერილი სასმელის ფოტო. მხოლოდ ერთი რეცეპტი და ერთი ფოტო შეიძლება აიტვირთოს.

საფირმო სასმელმა უნდა წარმოაჩინოს მონაწილეებს კრეატიულობა და ინდივიდუალური ესპრესოზე დაფუძნებული სასმელის შექმნის უნარი, რომელიც არის როგორც ვიზუალურად მიმზიდველი, ასევე აღიქმება, როგორც ინგრედიენტების ჰარმონია.

საფირმო სასმელის შეფასების დეტალური კრიტერიუმები გაწერილია მსაჯის ფურცელში - პირველი ეტაპი (დანართი 2).

5.3 პირველი ეტაპის ჟიური

5.3.1 პირველი ეტაპის ჟიური შედგება მაქსიმუმ სამი კვალიფიციური წევრისგან, რომლებსაც აქვთ ყავის სფეროში გამოცდილება (შემდეგში „პირველი ეტაპის ჟიური“) ორგანიზატორი თავისუფალია ჟიურის წევრების არჩევანში, მათ შორის მთავარი მსაჯის შერჩევა შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ. ჟიურის წევრის არ გამოცხადების შემთხვევაში, ორგანიზატორს შეუძლია იგი ჩაანაცვლოს სხვა შესაბამისი პირით.

5.3.2 პირველი ეტაპის ჟიურის უხელმძღვანელებს ერთი მთავარი მსაჯი, რომელიც წარმართავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. პირველი ეტაპის ჟიური შეაფასებს თითოეულ განაცხადს მხოლოდ დამსახურებებზე დაყრდნობით.

5.3.3 პირველი ეტაპის ჟიური შეარჩევს დანართ 1-ში მოცემული თითოეული ქვეყნიდან 10 მონაწილეს პირველ ეტაპზე მიღწეული შედეგების საფუძველზე, აგრეთვე პარაგრაფი 3.2.-ით განსაზღვრული ვალდებულებების

შესრულების შედეგად, ამასთან საუკეთესო მონაწილე დაიკავებს პირველ ადგილს, საუკეთესოთა შორის მეორე დაიკავებს მეორე ადგილის და ა.შ (შემდეგში „პირველი ეტაპის გამარჯვებულები“). მონაწილეთა შორის თანაბარი შედეგების შემთხვევაში, პირველი ეტაპის ჟიური ერთობლივად გადაწყვეტს, მონაწილეთაგან რომელი წარმოაჩენს უფრო კარგად ცოდნას ყავის სფეროში და ბარისტას განვითარებულ უნარებს. ჟიურის წევრებს შორის თანაბარი ხმების შემთხვევაში მთავარ მსაჯს აქვს გადამწყვეტი ხმა.

5.3.4 პირველი ეტაპის ჟიურის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ ექვემდებარება გასაჩივრებას და სავალდებულოა შესასრულებლად. პირველი ეტაპის ჟიური არ განმარტავს და არ ამტკიცებს გადაწყვეტილების სისწორეს, ხოლო მონაწილეს არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ტიპის ფიდბექი.

5.4 პირველი ეტაპის გამარჯვებულებს ეცნობებათ ელ-ფოსტის საშუალებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ პირველი ეტაპის გამარჯვებული იღებს მოწვევას, მაგრამ საბოლოოდ ვერ მონაწილეობს გამოწვევის შემდგომ ეტაპზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზატორს. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, მონაწილეობის მოწვევა გადაუგზავნოს შემდეგ უმაღლესი ქულის მქონე მონაწილეს იმ ქვეყნიდან, რომლიდანაც მოხდა მონაწილის გამოთიშვა.

## 6 საინფორმაციო შეხვედრა და კენჭისყრა

6.1 მეორე ეტაპის დაწყებამდე პირველი ეტაპის გამარჯვებულებისთვის ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრების ჩატარების თარიღი და ადგილი მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ. მონაწილეობა შესაძლებელი იქნება, როგორც ონლაინ, ისე პირადად. შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა პირველი ეტაპის გამარჯვებულებისთვის. გონივრული საფუძვლის გარეშე საინფორმაციო შეხვედრის გაცდენამ შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაცია.

6.2 საინფორმაციო შეხვედრის მიზანია პირველი ეტაპის გამარჯვებულებს მიაწოდოს ინფორმაცია მეორე ეტაპის შესახებ. კერძოდ, ორგანიზატორი გააცნობს მათ მეორე ეტაპის წესებსა და პროცესს დეტალურად.

6.3 საინფორმაციო შეხვედრის დროს კენჭისყრის გზით დადგინდება მეორე ეტაპზე მონაწილეობის თანმიმდევრობა.

## 7 შეჯიბრის მეორე (ადგილობრივი) რაუნდი - მეორე ეტაპი

7.1 მეორე ეტაპი გაიმართება, როგორც ადგილობრივი ღონისძიება დანართ 1-ში განსაზღვრულ თითოეულ ქვეყანაში და დანართი 1-ით დადგენილ ვადებში. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გააერთიანოს ორი ან მეტი ქვეყანა ერთი და იმავე რეგიონიდან (მაგ. არაბეთის ნახევარკუნძული ან იბერიის ნახევარკუნძული) ერთ ადგილობრივ ღონისძიებად მეორე ეტაპისთვის.

7.2 მხოლოდ პირველი ეტაპის გამარჯვებულებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ მეორე ეტაპზე (შემდგომში „მეორე ეტაპის გამარჯვებულები“).

7.3 მეორე ეტაპის მონაწილეებს აფასებს ჟიური (იხ. პარაგრაფი 7.8.) სამ კატეგორიაში: „ესპრესო“, „კაპუჩინო“ და „საფირმო სასმელი“ დანართ 3-ში განსაზღვრული ყავის სასმელის განმარტებებზე დაყრდნობით.

7.4 მეორე ეტაპის მონაწილეები წარადგენენ თითო სასმელს ყველა ხსენებული კატეგორიიდან, თითოეული სენსორული მსაჯისთვის. მეორე ეტაპის მონაწილეებს შეუძლიათ მოამზადონ იმდენი სასმელი, რამდენიც სურთ. თუმცა შეფასდება მხოლოდ სენსორული მსაჯებისთვის წარდგენილი სასმელები (იხ. პარაგრაფი 7.8.1.)

7.5 შეფასების დეტალური კრიტერიუმები, მათ შორის ტექნიკური და სენსორული შეფასების კრიტერიუმები, გაწერილია მსაჯის ფურცელში -მეორე ეტაპი (დანართი 4).

7.6 მონაწილეების მიერ მეორე ეტაპზე გამოსაყენებელ აღჭურვილობასთან, ხელსაწყოებთან და ყავის მარცვლებთან დაკავშირებული დეტალური პირობები დადგენილია დანართ 4-ში.

7.7 თაიმინგი და დროითი ჯარიმები:

7.7.1 მეორე ეტაპის ყველა მონაწილეს მიეცემა 38 წუთი საკუთარ გამოყოფილ სამუშაო მაგიდასთან შემდეგი სეგმენტებისთვის:

- მაგიდაზე სერვირების დრო: 7 წთ..
- მომზადების დრო: 12 წთ.
- შეჯიბრის/პერფორმანსის დრო: 12 წთ.
- დასუფთავების დრო: 7 წთ.

7.7.2 თაიმერი, რომელიც ითვლის დროს, იქნება კარგად ხილვადი როგორც ჟიურის წევრებისთვის, ისე მეორე ეტაპის მონაწილეებისთვის. დროის ჩართვაზე პასუხისმგებელი პირი გააფრთხილებს მეორე ეტაპის მონაწილეებს ყოველი განსაზღვრული პერიოდის ამოწურვის თაობაზე (იხ. პარაგრაფი 7.7.1.)

7.7.3 თუ მეორე ეტაპის მონაწილე ვერ დაასრულებს ცალკეულ ნაბიჯებს დროის გამოყოფილ ინტერვალებში (იხ. პარაგრაფი 7.7.1), მას შეუძლია დაასრულოს წარმოდგენა ერთი ქულის გამოკლებით თითოეული გადაშორებული წამისთვის, მაქსიმალურ საჯარიმო ქულად განისაზღვრება 60 ქულა (1 წუთი). მეორე ეტაპის მონაწილეები, რომლებსაც დასჭირდებათ დამატებით 60 წამზე მეტი დისკვალიფიცირებული იქნებიან ემორე ეტაპიდან.

7.8 მეორე რაუნდის ჟიური

7.8.1 მეორე ეტაპის ჟიური შედგება ოთხი წევრისგან, რომლებიც არიან ორგანიზატორის/შესაბამის ქვეყანაში (დანართი 1-ით დადგენილი ქვეყნები) ბიზნეს პარტნიორის დასაქმებული ან/და ბიზნეს პარტნიორი (შემდეგში „მეორე ეტაპის ჟიური"). მათგან - ორი სერნსორული მსაჯი, ერთი ტექნიკური მსაჯი და ერთი მთავარი მსაჯი. ორგანიზატორი თავისუფალია ჟიურის წევრების არჩევანში, მათ შორის მთავარი მსაჯის შერჩევა შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ. ჟიურის წევრის არ გამოცხადების შემთხვევაში, ორგანიზატორს შეუძლია იგი ჩაანაცვლოს სხვა შესაბამისი პირით.

7.8.2 მეორე ეტაპის ჟიურის უხელმძღვანელებს ერთი მთავარი მსაჯი, რომელიც წარმართავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მეორე ეტაპის ჟიური შეაფასებს თითოეულ განაცხადს მხოლოდ დამსახურებებზე დაყრდნობით.

7.8.3 მეორე ეტაპის ჟიური მეორე ეტაპის მონაწილეებს შეაფასებს მსაჯის ფურცლის - მეორე ეტაპი (დანართი 4) საფუძველზე.

7.8.4 მეორე ეტაპის ორი ან მეტი მონაწილის თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში, „ესპრესოს" სენსორული შედეგი (შემდგომში აღწერილი დანართ 4-ში) იქნება გადამწყვეტი. მეორე ეტაპის მონაწილე, რომელიც დააგროვებს უფრო მეტ „ესპრესოს" სენსორულ შედეგს, იქნება რეიტინგში პირველი და გაასწრებს მეორე ეტაპის სხვა ნებისმიერ მონაწილეს ანალოგიური საერთო შედეგით. იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი ქულების მქონე მეორე ეტაპის მონაწილეებს აქვთ ერთი და იგივე „ესპრესოს" სენსორული შედეგი, გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელსაც ექნება უფრო მაღალი „კაპუჩინოს" სენსორული საერთო შედეგი (შემდგომში აღწერილი დანართ 4-ში). იმ შემთხვევაში, თუ მეორე ეტაპის მონაწილეები დააგროვებენ თანაბარ „ესპრესოს" და კაპუჩინოს სენსორულ შედეგებს, გადამწყვეტი იქნება მთავარი მსაჯის შედეგი (შემდგომში აღწერილი დანართ 4-ში). საბოლოო თანაბარი ქულების შემთხვევაში კი, მეორე ეტაპის ჟიური ერთობლივად წყვეტს, მონაწილეთაგან რომელი უფრო კარგად ახდენს ყავის სფეროში ცოდნისა და ბარისტას განვითარებული უნარების დემონსტრირებას. ხოლო, მსაჯებს შორის თანაბარი ხმების შემთხვევაში, მთავარ

მსაჯს აქვს გადამწყვეტი ხმა.

7.8.5 მეორე ეტაპის ჟიური გამოავლენს ერთ გამარჯვებულს (შემდგომში „მეორე ეტაპის გამარჯვებული“) და მეორე ადგილის მფლობელ მონაწილეს სამივე კატეგორიაში მიღებული უმაღლესი საერთო შედეგის საფუძველზე. მეორე ეტაპის ყველა ადგილობრივ ღონისძიებაში გამოვლინდება მეორე ეტაპის ერთი გამარჯვებული და ერთი მეორე ადგილის მფლობელი.

7.8.6 მეორე ეტაპის ჟიურის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ ექვემდებარება გასაჩივრებას და სავალდებულოა შესასრულებლად. მეორე ეტაპის ჟიური არ განმარტავს და არ ამტკიცებს გადაწყვეტილების სისწორეს, ხოლო მონაწილეს არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ტიპის ფიდბექი.

7.8.7 მეორე ეტაპის გამარჯვებულებმა ორგანიზატორისგან დროულად უნდა მიიღონ ინფორმაცია მესამე ეტაპის ჩატარების თარიღსა და განრიგთან დაკავშირებით, თითოეულ ქვეყანაში მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, რაც განსაზღვრულია დანართი 1-ით.

7.9 იმ შემთხვევაში, თუ მეორე ეტაპის გამარჯვებული იღებს მოწვევას, მაგრამ საბოლოოდ ვერ მონაწილეობს გამოწვევის შემდგომ ეტაპზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზატორს. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, მონაწილეობის მოწვევა გადაუგზავნოს შემდეგ უმაღლესი ქულის მქონე მონაწილეს იმ ქვეყნიდან, რომლიდანაც მოხდა მონაწილის გამოთიშვა.

## 8 საინფორმაციო შეხვედრა და კენჭისყრა

8.1 მესამე ეტაპის დაწყებამდე მეორე ეტაპის გამარჯვებულებისთვის ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრების ჩატარების თარიღი და ადგილი მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ. მონაწილეობა შესაძლებელი იქნება, როგორც ონლაინ, ისე პირადად. შეხვედრებზე დასწრება სავალდებულოა მეორე ეტაპის გამარჯვებულებისთვის. გონივრული საფუძვლის გარეშე საინფორმაციო შეხვედრის გაცდენამ შეიძლება გამოიწვიოს დისკვალიფიკაცია.

8.2 საინფორმაციო შეხვედრის მიზანია მეორე ეტაპის გამარჯვებულებს მიაწოდოს ინფორმაცია მესამე ეტაპის შესახებ. კერძოდ, ორგანიზატორი გააცნობს მათ მესამე ეტაპის საფინალო წესებსა და პირობებს, აგრეთვე, პროცესს დეტალურად.

8.3 საინფორმაციო შეხვედრის დროს კენჭისყრის გზით დადგინდება მესამე ეტაპზე მონაწილეობის თანმიმდევრობა.

## 9 გრანდ ფინალი - მე-3 ადგილი

9.1 მესამე ეტაპი გაიმართება ავსტრიაში, კერძოდ ვენაში 2024 წლის 19 სექტემბერს, ან ორგანიზატორის შეხედულებისამებრ განსაზღვრულ სხვა თარიღში.

9.2 მხოლოდ მეორე ეტაპის გამარჯვებულები შეძლებენ მესამე ეტაპში მონაწილეობის მიღებას (შემდგომში „მესამე ეტაპის მონაწილეები“).

9.3 მესამე ეტაპის მონაწილეები ჟიურის მიერ შეფასდებიან (იხ. პარაგრაფი 9.7) ორ კატეგორიაში: „ესპრესო“ და „კაპუჩინო“, დანართ 3-ში გაწერილი ყავის სასმელების განმარტებაზე დაყრდნობით. მესამე ეტაპის მონაწილეები მოამზადებენ თითო სასმელს თითოეული დასახელებული კატეგორიიდან თითოეული სენსორული მსაჯისთვის. მესამე ეტაპის მონაწილეებს შეუძლიათ იმდენი სასმელის მომზადება, რამდენიც სურთ, თუმცა შეფასდება მხოლოდ სენსორული მსაჯებისთვის წარდგენილი სასმელები (იხ. პარაგრაფი 7.8.1.)

9.4 შეფასების დეტალური კრიტერიუმები, მათ შორის ტექნიკური და სენსორული შეფასების კრიტერიუმები,

გაწერილია მსაჯის ფურცელში -მესამე ეტაპი (დანართი 5).

9.5 მონაწილეების მიერ მესამე ეტაპზე გამოსაყენებელ აღჭურვილობასთან, ხელაწყოებთან და ყავის მარცვლებთან დაკავშირებული დეტალური პირობები დადგენილია დანართ 5-ში.

9.6 თაიმინგი და დროითი ჯარიმები:

9.6.1 მესამე ეტაპის ყველა მონაწილეს მიეცემა 26 წუთი საკუთარ გამოყოფილ სამუშაო მაგიდასთან შემდეგი სეგმენტებისთვის:

- მაგიდაზე სერვირების დრო: 5 წთ.
- მომზადების დრო: 10 წთ.
- შეჯიბრის/პერფორმანსის დრო: 6 წთ.
- დასუფთავების დრო: 5 წთ.

9.6.2 თაიმერი, რომელიც ითვლის დროს, იქნება კარგად ხილვადი როგორც ჟიურის წევრებისთვის, ისე მესამე ეტაპის მონაწილეებისთვის. დროის ჩართვაზე პასუხისმგებელი პირი გააფრთხილებს მესამე ეტაპის მონაწილეებს ყოველი განსაზღვრული პერიოდის ამოწურვის თაობაზე (იხ. პარაგრაფი 9.6.1.)

9.6.3 თუ მესამე ეტაპის მონაწილე ვერ დაასრულებს ცალკეულ ნაბიჯებს დროის გამოყოფილ ინტერვალებში (იხ. პარაგრაფი 9.6.1), მას შეუძლია დაასრულოს წარმოდგენა ერთი ქულის გამოკლებით თითოეული გადაშორებული წამისთვის, მაქსიმალურ საჯარიმო ქულად განისაზღვრება 60 ქულა (1 წუთი). მესამე ეტაპის მონაწილეები, რომლებსაც დასჭირდებათ დამატებით 60 წამზე მეტი დისკვალიფიცირებული იქნებიან მესამე ეტაპიდან.

9.7 მესამე ეტაპის ჟიური

9.7.1 მესამე ეტაპის ჟიური შედგება ოთხი წევრისგან, რომლებიც არიან ექსპერტები ორგანიზატორის მიერ შერჩეული ყავის შესაბამის დარგში. (შემდეგში „მესამე ეტაპის ჟიური“). მათგან - ორი სერნსორული მსაჯი, ერთი ტექნიკური მსაჯი და ერთი მთავარი მსაჯი. ორგანიზატორი თავისუფალია ჟიურის წევრების არჩევანში, მათ შორის მთავარი მსაჯის შერჩევა შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ. ჟიურის წევრის არ გამოცხადების შემთხვევაში, ორგანიზატორს შეუძლია იგი ჩაანაცვლოს სხვა შესაბამისი პირით.

9.7.2 მესამე ეტაპის ჟიურის უხელმძღვანელებს ერთი მთავარი მსაჯი, რომელიც წარმართავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მესამე ეტაპის ჟიური შეაფასებს თითოეულ განაცხადს მხოლოდ დამსახურებებზე დაყრდნობით.

9.7.3 მესამე ეტაპის ჟიური შეაფასებს მესამე ეტაპის მონაწილეებს მსაჯის ფურცელზე - მესამე ეტაპი (დანართი 5) დაყრდნობით.

9.7.4 მესამე ეტაპის ორი ან მეტი მონაწილის მიერ „ესპრესოს“ კატეგორიაში თანაბარი შედეგის მიღების შემთხვევაში, (შემდგომში აღწერილი დანართ 5-ში) „კაპუჩინოს “ შედეგი იქნება გადამწყვეტი. მესამე ეტაპის მონაწილე, რომელიც დააგროვებს უფრო მეტ „ესპრესოს“ სენსორულ შედეგს, იქნება რეიტინგში პირველი და გაასწრებს მესამე ეტაპის სხვა ნებისმიერ მონაწილეს ანალოგიური საერთო შედეგით. იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი ქულების მქონე მესამე ეტაპის მონაწილეებს აქვთ ერთი და იგივე შედეგი „კაპუჩინოს კატეგორიაში გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელსაც ექნება უფრო მაღალი „ესპრესოს“ შედეგი (შემდგომში აღწერილი დანართ 5-ში). მესამე ეტაპის მონაწილეს, რომელსაც ექნება „ესპრესოს“ უმაღლესი სენსორული შედეგი, გაიმარჯვებს და იქნება მსგავსი საერთო შედეგის მქონე მესამე ეტაპის მონაწილეზე წინ. იმ შემთხვევაში, თუ მესამე ეტაპის მონაწილეები დააგროვებენ თანაბარ „ესპრესოს“ და კაპუჩინოს ლატე არტის შედეგებს, გადამწყვეტი იქნება „მთავარი მსაჯის საერთო შთაბეჭდილება“ (შემდგომში აღწერილი დანართ 5-ში). საბოლოო თანაბარი ქულების შემთხვევაში კი, მესამე ეტაპის ჟიური ერთობლივად წყვეტს, მონაწილეთაგან რომელი უფრო კარგად ახდენს ყავის სფეროში ცოდნისა და ბარისტას განვითარებული უნარების დემონსტრირებას. ხოლო, მსაჯებს შორის თანაბარი ხმების შემთხვევაში, მთავარ მსაჯს აქვს გადამწყვეტი

ხმა.

9.7.5 მესამე ეტაპის ჟიური გამოავლენს თითო გამარჯვებულს თითო კატეგორიაში „ესპრესო“ და „კაპუჩინო“ შესაბამისი კატეგორიის უმაღლესი შედეგის საფუძველზე (შემდგომში „კატეგორიის-გამარჯვებულები“). მესამე ეტაპის ჟიური ასევე გამოავლენს „ესპრესოს“ და „კაპუჩინოს“ კატეგორიებში მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს.

9.7.6 კატეგორიის გამარჯვებული, აგრეთვე პირები, რომლებიც დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს „საფირმო სასმელის“ კატეგორიაში აირჩევიან მესამე ეტაპზე დამსწრე ყველა სტუმრის მიერ QR კოდის საშუალებით მესამე ეტაპზე განთავსებული სპეციალურ სივრცეში. მესამე ეტაპის სპეციალურ გამოყოფილ სივრცეში ყველა საფირმო სასმელი განთავსდება ფოტოს სახით და თანმხლები აღწერით. მითითებული არ იქნება მონაწილეთა სახელი და ქვეყანა. გაიმარჯვებს ის მონაწილე, რომელიც დააგროვებს „საფირმო სასმელის“ კატეგორიაში ყველაზე მაღალ შედეგს (შემდგომში „სტუმრების გამარჯვებული“). თითოეულ სტუმარს აქვს მხოლოდ ერთი ხმა.

9.7.7 მესამე ეტაპის ჟიურის ყველა გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ ექვემდებარება გასაჩივრებას და შესასრულებლად სავალდებულოა. მესამე ეტაპის ჟიურის შეუძლია განმარტოს და ამტკიცოს გადაწყვეტილების სისწორე, ხოლო მონაწილეს არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე ტიპის ფიდბექი.

## 10 პრიზები

10.1 წინამდებარე „პირობების“, აგრეთვე, მონაწილის მიერ ორგანიზატორის ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, პრიზის მინიჭება არ ხდება. პუნქტი 7.8.8 გამოიყენება შესაბამისი ცვლილებებით.

10.2 მეორე ეტაპის პრიზები

10.2.1 მეორე ეტაპის გამარჯვებულებისთვის, დანართი 1-ით დადგენილ თითოეულ ქვეყანაში პრიზს წარმოადგენს მესამე ეტაპში მონაწილეობა, აგრეთვე, საგზური ვენაში ორი-სამი ღამით, ორგანიზატორის ხარჯით მესამე ეტაპში მონაწილეობის მიღებისთვის. მეორე ეტაპის პრიზი გადაეცემა ასევე იმ კაფეს, რესტორნის, სასტუმროს ან ბარის მენეჯმენტის გუნდის წევრს, რომელშიც მეორე ეტაპის გამარჯვებული არის დასაქმებული („თანმხლები პირი“)

10.2.2 დეტალები (ფრენები, განთავსების ტიპი და სხვა) განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ. ორგანიზატორი გამარჯვებულებს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას ვენაში მგზავრობასთან დაკავშირებით (მაგ. გამგზავრების თარიღი, განრიგი) მეორე ეტაპის შემდეგ დროულად.

10.2.3 მეორე ეტაპის გამარჯვებულებმა და მათ თანმხლებმა პირებმა უნდა ითანამშრომლონ ორგანიზატორთან მეორე ეტაპის პრიზის სათანადო ორგანიზებისთვის.

10.2.4 თუ მეორე ეტაპის გამარჯვებული არ მიიღებს მეორე ეტაპის პრიზს ორგანიზატორის მიერ დადგენილ ვადებსა და გრაფიკში, მეორე ეტაპის პრიზი ჩაითვლება შესრულებულად და გახარჯულად. ასეთ შემთხვევაში, მეორე ადგილზე გასული მონაწილე (იხ. პარაგრაფი 7.8.5.) ჩაითვლება მეორე ეტაპის ახალ გამარჯვებულად და ორგანიზატორი დროულად დაუკავშირდება მას მეორე ეტაპის პრიზის მიღებისთვის.

10.3 მესამე ეტაპის პრიზები

10.3.1 მესამე ეტაპის პრიზი გადაეცემა კატეგორიის გამარჯვებულებს და სტუმრების გამარჯვებულებს.

10.3.2 მესამე ეტაპის პრიზს წარმოადგენს ჰონდურასის საგზური ორგანიზატორის ხარჯებით. დანიშნულების ადგილი შეიძლება შეიცვალოს ორგანიზატორის შეხედულებისამებრ. დეტალები (ქვეყანა, ფრენები, განთავსების ტიპი და სხვ) განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ. ორგანიზატორი დროულად მიაწვდის გამარჯვებულებს შესაბამის ინფორმაცია მგზავრობასთან და

ორგანიზატორის ყავის წარმომავლობის ქვეყანაში განთავსებასთან დაკავშირებით (მაგ, მგზავრობის თარიღები, განრიგი და სხვა) მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ.

10.3.3 მესამე ეტაპის გამარჯვებულებმა დროულად უნდა ითანამშრომლონ ორგანიზატორთან მესამე ეტაპის პრიზის სათანადო ორგანიზებისთვის.

10.3.4 იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე მიიღებს მესამე ეტაპის რამდენიმე პრიზს (მაგ, გამარჯვებული კატეგორიაში „ესპრესო“ და გამარჯვებული კატეგორიაში „კაპუჩინო“ ერთდროულად), მას მესამე ეტაპის პრიზი გადაეცემა მხოლოდ ერთჯერადად.

10.3.5 იმ შემთხვევაში, თუ „კატეგორიის გამარჯვებული“ ან „სტუმრების გამარჯვებული“ არ მიიღებს მესამე ეტაპის პრიზს ორგანიზატორის მიერ დადგენილ თარიღში და შესაბამისი განრიგის მიხედვით, მესამე ეტაპის პრიზი ჩაითვლება გახარჯულად და შესრულებულად. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი კატეგორიის მეორე ადგილის მფლობელი (იხ. პარაგრაფები 9.7.5, 9.7.6 შეცდომა! ბმულის წყაროს მოძებნა ვერ მოხერხდა) ჩაითვლება შესაბამისი კატეგორიის ახალ გამარჯვებულად და ორგანიზატორი დროულად დაუკავშირდება მას მესამე ეტაპის პრიზის მისაღებად.

10.4 შეუძლებელია პრიზების გადაცვლა მათ ფულად ღირებულებაზე.

## 11 საავტორო უფლებები და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

11.1 გამოწვევის თითოეული მონაწილე, გამოწვევაში მონაწილეობის მიღებით, ორგანიზატორებსა და დანართ 1-ში განსაზღვრულ ადგილობრივ კომპანიებს გადასცემს საკუთრების უფლებას ვიდეო ან/და ფოტო ნამუშევრებზე ე.ი საკუთარ კონტენტზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (მაგ. გამოყენების ადგილისა და დროის მიმართ) და მესამე პირებისთვის ქვე-ლიცენზიის მინიჭების უფლებით. აქ იგულისხმება ფოტოები და ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც გაკეთდა თავად მონაწილეების მიერ, აგრეთვე ფოტოები და ვიდეოები, რომლებიც გაკეთდა ორგანიზატორის ან დანართი 1-ით განსაზღვრული ადგილობრივი კომპანიების მიერ. გამოყენების უფლება მოიცავს, გამოქვეყნების, ასლის დამზადების, დამუშავების, ადაპტირებისა და გავრცელების უფლებას ნაწილობრივ ან სრულად, აგრეთვე, ყველა ვიდეოს ან მისი ნაწილების, ასევე ფოტოების გაერთიანების უფლებას ერთ უნიკალურ ვიდეოში (ფილმში), რომელიც ორგანიზებული იქნება ორგანიზატორის ან დანართი 1-ით განსაზღვრული ადგილობრივი კომპანიების მიერ. მონაწილე ვალდებულია და პასუხისმგებელია, მასზედ, რომ არ დაუშვას, მის მიერ გადაღებულ ფოტოებსა ვიდეოებზე მოხვდეს სხვა პირები, ან თუ ისინი მოხვდებიან, არ დაუშვას, რომ არ ჰქონდეს მათი წერილობითი თანხმობა ჩაწერაზე, გამოწვევაში მონაწილეობაზე და ყველა იმ უფლებაზე, რომელსაც ორგანიზატორი ან დანართ 1-ში განსაზღვრული ადგილობრივი კომპანიები წარუდგენენ მონაწილეს ნებისმიერი ფორმით. დაუშვებელია ვიდეოში არასრულწლოვანი პირების გადაღება ან მოხვედრა.

11.2 ნებისმიერი კონტენტის გაგზავნით, მათ შორის და არა მხოლოდ, სასმელების რეცეპტები, საპრეზენტაციო მასალები და გამოსახულებები, მონაწილე ორგანიზატორსა და დანართ 1-ში განსაზღვრულ ადგილობრივ კომპანიებს ანიჭებს უვადო, არაექსკლუზიურ, გადაცემის საშუალების მქონე, აუნაზღაურებად ლიცენზიას, წარმოდგენილი კონტენტის გამოყენებაზე, გაშუქებაზე, დემონსტრირებაზე და გავრცელებაზე, გამოწვევის ორგანიზების, განვითარების და გაშუქების მიზნებისთვის. რაც მოიცავს, მაგრამ შემოიფარგლება, გამოწვევის ვებ გვერდზე, სოც. ქსელების არხებში, სარეგილამო მასალებზე და მასთან დაკავშირებული მასმედიის საშუალებებში, აგრეთვე ორგანიზატორისა და დანართი 1-ით განსაზღვრული ადგილობრივი კომპანიების სხვა მარკეტინგულ ღონისძიებებში კონტენტის დემონსტრირებით.

11.3 „საფირმო სასმელის“ კატეგორიაში რეცეპტის გაგზავნით (იხ. პარაგრაფი 5.2.2.) თითოეული მონაწილე

თანხმდება, რომ ორგანიზატორი და მასთან დაკავშირებული კომპანიები უფლებამოსილნი არიან, წარმოდგენილი რეცეპტები გამოიყენონ, გააშუქონ და დემონსტრირება მოახდინონ მარკეტინგული და სარეკლამო მიზნებისთვის. ყოველ ჯერზე, როცა გამოწვევის ფარგლებს გარეთ სარეკლამო და მარკეტინგული მიზნებისთვის რეცეპტის გამოყენება მოხდება, მონაწილე მოხსენიებული და ციტირებული იქნება, როგორც შემქმნელი. წინამდებარე დოკუმენტით, მონაწილე გადასცემს ორგანიზატორს და ადგილობრივ კომპანიებს (დანართი 1), რეცეპტით სარგებლობის უფასო და შეუზღუდავ უფლებას.

**12 პასუხისმგებლობა**

12.1 მონაწილეები ვალდებულნი არიან გამოწვევაში მონაწილეობისას იმოქმედონ გონივრულობის ფარგლებში, აგრეთვე, პატივი სცენ და უზრუნველყონ სხვებისა და საკუთარი თავის უსაფრთხოება.

12.2 ორგანიზატორები არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან გარანტიას გადაცემული პრიზების ხარისხთან ან ბუნებასთან დაკავშირებით. ყველა პრიზის გადაცემა მოხდება პირობით „როგორც არის“ და „დასაშვებობის ფარგლებში“ ხოლო კანონით გათვალისწინებული სხვა პირობები გარანტიები, ან სხვა დებულებები, გამოირიცხება კანონით მაქსიმალურად დაშვებულ ფარგლებში.

12.3 ორგანიზატორები არ იღებენ პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზიანზე, დანაკარგზე, დაზიანებაზე, რომელიც მიადგა ნებისმიერ მონაწილეს გამოწვევაში მონაწილეობისას, აგრეთვე პრიზის გაუმჯობესებაზე, რომელიც გაიცემა სრულად მონაწილის რისკით, იმ პირობით, რომ არაფერი წინამდებარე პირობებში არ გამორიცხავს ორგანიზატორის პასუხისმგებლობას შემდეგზე:

12.3.1 გაუფრთხილებლობით მიყენებული სხეულის დაზიანება ან სიკვდილი;

12.3.2 თაღლითობა ან განზრახ შეცდომაში შეყვანა; ან

12.3.3 ნებისმიერი სხვა პასუხისმგებლობა, რომელთა გამორიცხვაც შეუძლებელია კანონის მიხედვით.

12.4 მონაწილეები თანხმობას აცხადებენ, აანაზღაურონ ზიანი, დაიცვან და ააცილონ ორგანიზატორს, მის თანამშრომლებს, მოხალისეებს და თანამდებობის პირებს, აგრეთვე, სხვა წარმომადგენლებს, რომელთა მომსახურებითაც სარგებლობს ორგანიზატორი გამოწვევასთან დაკავშირებით, ან რომლებთანაც ორგანიზატორს აკავშირებს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მონაწილის გამოწვევაში მონაწილეობის შედეგად, ნებისმიერი პრეტენზია, საჩივარი, ვალდებულება, ზარალი ან ნებისმიერი ტიპის ზიანი, იქნება ეს ფიზიკური, თუ პირადი (მათ შორის, ადვოკატების ჰონორარი), რომელიც შეიძლება წარმოიშვას გასაჩივრების შედეგად, ან მონაწილის მიერ წინამდებარე პირობების შეუსრულებლობის შედეგად, აგრეთვე, სხვა სამართლებრივი საფუძვლით.

**13 ღირებულება**

გამოწვევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, თითოეული მონაწილე გაწევს თავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე პირობებში სხვა რამ არ არის მითითებული.

**14 შესაბამისი კანონმდებლობა**

წინამდებარე პირობები, იმ ფარგლებით, რა ფარგლებითაც ეს დაშვებულია კანონის მიერ, განიმარტება და რეგულირდება ავსტრიის რესპუბლიკის კანონმდებლობით, ნასყიდობის თაობაზე გაეროს კონვენციის კოლიზიური სამართლის ნორმების გამოყენების გარეშე.

**15 სხვადასხვა**

15.1 თუ წინამდებარე პირობების ნებისმიერი დებულება ცნობილი იქნება ბათილად, სრულად ან ნაწილობრივ, აგრეთვე, ძალადაკარგულად, ან არაეფექტურად, ეს გავლენას არ მოახდენს დანარჩენი დებულებების იურიდიულ ძალაზე. ამგვარი დებულება უნდა შეიცვალოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია კანონის მიხედვით, ძალის მქონე, და აღსრულებადი ნორმით, რომელიც უფრო ახლოს დგას აღნიშნული ნორმის ეკონომიკურ მიზანთან, ადგილის, დროის, ზომისა და მოცულობის თვალსაზრისით. იგივე ეხება სხვა ნებისმიერ პრობლემასაც წინამდებარე პირობებში.

15.2 უფლებებისა და ვალდებულებების მინიჭება

„გამოწვევასთან" დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები ექსკლუზიურად უნდა განხორციელდეს მონაწილის მიერ და არ შეიძლება გადაცემულ იქნას მესამე პირებისთვის ორგანიზატორის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

**დანართები:**

დანართი A შეფასების შკალები და პროცედურა

დანართი 1 მონაწილე ქვეყნების სია, ადგილობრივი ორგანიზატორები, ვებგვერდები, ვადები;

დანართი 2 მსაჯის ფურცელი - პირველი ეტაპი

დანართი 3 ყავის სასმელების ტერმინთა განმარტებები

დანართი 4 მსაჯის ფურცელი - მეორე ეტაპი (რომელიც მოიცავს, ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებს, სენსორული შეფასების კრიტერიუმებს, მთავარი მსაჯის ჯამური შეფასების კრიტერიუმებს) აგრეთვე, აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ყავის მარცვლები

დანართი 5 მსაჯის ფურცელი - მესამე ეტაპი (რომელიც მოიცავს, ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებს, სენსორული შეფასების კრიტერიუმებს, მთავარი მსაჯის ჯამური შეფასების კრიტერიუმებს) აგრეთვე, აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ყავის მარცვლები

დანართი 6 მონაცემთა კონფიდენციალურობის განაცხადი

დანართი A

**შეფასების შკალები და პროცედურა**

## შეფასების შკალები

აპლიკანტები და კონკურსანტები შეფასდებიან შემდეგი შკალების მეშვეობით:

**კი/არა**

კონკურსანტი მიიღებს 1 ქულას თითო შეფასება „კი“-სთვის და ნულ ქულას თითო შეფასება „არა“-სთვის.

**რიცხობრივი (ლატე არტი): 0-3**

მონაწილეები იღებენ 0-დან 3 შეფასებას თითოეულ ფაქტორთან დაკავშირებით: *კონტრასტი, ჰარმონია, ზომა და განთავსება ჭიქაში, ქაფის ხარისხი და ნახატის იდენტიფიკაცია* ქვემოთ მოყვანილი ცხრილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. დაუშვებელია ნახევარი ქულის მინიჭება.

| | **კონტრასტი** | **ჰარმონია, ზომა და ჭიქაში განთავსება** | **ქაფის ხარისხი** | **ნახატის იდენტიფიკაცია** |
|---|---|---|---|---|
| 0 | არაფერია შესაფასებელი | არაფერია შესაფასებელი | არაფერია შესაფასებელი | არაფერია შესაფასებელი |
| 1 | კონტრასტი მცირეა, რაც ხელს უშლის ნახატის მკვეთრ გამოკვეთას. თეთრი ქაფის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, შეერია კრემს. | მათთვის, ვინც სვამს მარჯვენა ხელით, „3 საათის“ პოზიციაში განთავსებისას, ნახატი ჩანს უკუღმა. | 4-5 დონე ქაფის SCA სტანდარტის შესაბამისად | ნახატის ნათლად იდენტიფიცირება შეუძლებელია |
| 2 | თეთრ ქაფსა და ყავისფერ კრემს შორის არის მცირეოდენი მარმარილოსებრი გადასვლა (მარბლინგი) თუმცა ნახატის ნათლად არის გამოხატული. იმ ნაწილებში, სადაც ქაფი და კრემი შეერია ერთმანეთ, იკვეთება ბეჟი ფერი. | მათთვის, ვინც სვამს მარჯვენა ხელით, ნახატი წარმოდგენილია თავისი ბაზით 4 დან 8 საათამდე ჭიქაში. ნახატის ზომა ოდნავ პატარაა ან საჭიროზე დიდია არსებული სივრცისთვის. ნახატი ჭიქაში არასწორადაა განთავსებული (მაგ. ეხება კიდეს). თუ ჩასხმულია რამდენიმე ნახატი, ისინი მართალია ნათლად იდენტიფიცირდება, თუმცა არადაბალანსებულია. | 2-3 დონე ქაფის SCA სტანდარტის შესაბამისად | ნახატის ნათლად იდენტიფიცირება შესაძლებელია |
| 3 | მკვეთრი თეთრი ქაფი მკვეთრად კონტრასტულად არის გამოყოფილი კრემის გაჯერებული ფერისგან. ეს მკვეთრი კონტრასტი გამოხატულია ნახატის უმეტეს ნაწილზე. | მათთვის, ვინც სვამს მარჯვენა ხელით, ნახატი წარმოდგენილია თავისი ბაზით, 6 საათზე (დასაშვებია 5-7 საათი) და სახელური 3 საათზე. ნახატის ზომა შეესაბამება ჭიქის ზომას, საკმარისად დიდია იმისთვის, რომ შეავსოს სივრცე და ტოვებს კრემის ჩარჩოსთვის. თუ ჩასხმულია რამდენიმე ნახატი, ისინი უნდა ავსებდეს ერთმანეთს და გამოიყურებოდეს მიმზიდველად. | 1-2 დონე ქაფის SCA სტანდარტის შესაბამისად | ნახატის ნათლად იდენტიფიცირება შესაძლებელია და იგი მიმზიდველია |

## SCA ქაფის ხარისხის სტანდარტი

| | |
|---|---|
| დონე 1 | • გამოხატულია მიკრო-ქაფი<br>• გლუვი, მბზინავი და ტენიანი<br>• არ შეინიშნება ბუშტები |
| დონე 2 | • გამოხატულია მიკრო-ქაფი<br>• გლუვი, და ტენიანი<br>• ძალიან ცოტა რაოდენობის მცირე ბუშტები (<0.5მმ დიამეტრით) |
| დონე 3 | • გამოხატულია მიკრო-ქაფი<br>• გლუვი, და ტენიანი<br>• მიკრო ქაფის ტექსტურაში შეინიშნება ბევრი პატარა (<1 მმ დიამეტრით) და ძალიან ცოტა უფრო დიდი (12 მმ დიამეტრით) ბუშტები. |
| დონე 4 | • ბევრი დიდი ზომის (>1მმ + დიამეტრით) ბუშტებია წარმოდგენილი.<br>• ტექსტურა არათანაბარი/ფერმკრთალი/ მშრალია. |
| დონე 5 | • ბევრი დიდი ზომის (>1მმ + დიამეტრით) ბუშტებია წარმოდგენილი.<br>• ძალიან მშრალი და არათანაბარი, გამოიყურება ისე, თითქოს დატანილია ჩვეულებრივი კოვზით / შპატელით და არა ჩასხმით. |

**რიცხობრივი (ხარისხი): 0-6**

კონკურენტის შესრულება შეფასდება 0-დან 6-მდე შკალით. დაბალი რიცხვები მიუთითებს უფრო ცუდ შესრულებაზე, ხოლო უფრო მაღალი ქულები მიუთითებს უკეთეს შესრულებაზე, თითოეული წერტილი შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილ ხარისხის დონეს. ნახევარი ქულა დასაშვებია 1-დან 6-მდე დიაპაზონში.

| | |
|---|---|
| 0 | არაფერია შესაფასებელი |
| 1 | არასაკმარისი |
| 2 | საშუალო |
| 3 | კარგი |
| 4 | ძალიან კარგი |
| 5 | შესანიშნავი |
| 6 | გამორჩეული |

**რიცხობრივი (საერთო შეხედულება): 0-3**

რიცხობრივი (საერთო შთაბეჭდილება) შკალა გამოიყენება მთავარი მსაჯის მიერ კონკურსანტის მიმართ საერთო შთაბეჭდილების შესაფასებლად თითოეულ კატეგორიაში. მსაჯი მხედველობაში იღებს კრიტერიუმებს, რომლებიც გამოყენებული იქნება სენსორული და ტექნიკური მსაჯების მიერ შეფასებისას. ნახევარი ქულების მინიჭება არ დაიშვება.

| | |
|---|---|
| 0 | არაფერია შესაფასებელი |
| 1 | საერთო შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელიდან საშუალომდე |
| 2 | საერთო შთაბეჭდილება კარგიდან ძალიან კარგამდე |
| 3 | საერთო შთაბეჭდილება შესანიშნავიდან ექსტრაორდინალურამდე |

# შეფასების პროცედურა

## განაცხადის შეფასების ფურცელი

### ლატე არტის შეფასება

მსაჯები მიაკუთვნებენ ქულებს 0-3 ფარგლებში რიცხობრივი (ლატე არტის) შკალით.

### ბარისტას უნარების შეფასება

მსაჯები ეძებენ აპლიკანტებს, რომლებიც წარმოაჩენენ ყავის მომზადებისა ტექნიკისა და ლატე არტის ოსტატობას. მსაჯები შეაფასებენ აპლიკანტის გადაადგილებას სამუშაო მაგიდასთან და ხელსაწყოების, აღჭურვილობისა და აქსესუარების გამოყენებას.

აპლიკანტის მიერ სამუშაო პროცესის ფლობა და სამუშაო მაგიდის მენეჯმენტი შეფასდება 0-6 ქულით რიცხობრივი (ხარისხი) შკალით.

### საფირმო სასმელის შეფასება

საფირმო სასმელმა უნდა წარმოაჩინოს ყავის ბაზაზე დამზადებული ექსკლუზიური სასმელის აპლიკანტის მიერ შექმნის უნარი და კრეატიულობა. საფირმო სასმელი უნდა იყოს თხევადი და შეიცავდეს მინიმუმ ერთ პორცია ესპრესოს (30 მლ +/- 5 მლ). სასმელში უნდა იგრძნობოდეს ესპრესოს გემო. საფირმო სასმელში დასაშვებია გამოყენებული იყოს ალკოჰოლი.

აპლიკანტის ოსტატობა სამი მიმართულებით პრეზენტაცია, რეცეპტის კრეატიულობა და ინგრედიენტების ჰარმონია შეფასდება 0-6 მდე ქულით რიცხობრივი (ხარისხის) შკალით. ნახევარი ქულის გამოყენება დასაშვებია.

## სენსორული შედეგის ფურცელი

### ესპრესოს შეფასება

a) ვიზუალური მხარე

მსაჯები შეაფასებენ ჭურჭელში კრემის არსებობას. იმისთვის რომ მიენიჭოს „კი" კრემი უნდა ფარავდეს ესპრესოს მთელ ზედაპირს, რაიმე სახის ხვრელების ან უზუსტობების გარეშე.

b) გემოვნური შეგრძნებების ხარისხი

მსაჯები შეაფასებენ გემოვნური შეგრძნებების ხარისხს, რიცხობრივი (ხარისხის) შკალის გამოყენებით, იმ კრიტერიუმით, რომელიც დადგენილია შეჯიბრის დაწყებამდე და ენიჭება 0-6 მდე ქულა.

### კაპუჩინოს შეფასება

a) ვიზუალური მხარე და ლატე არტი

მსაჯები მიანიჭებენ 0-3 მდე ქულას რიცხობრივ (ლატე არტი) შკალაზე დაყრდნობით.

b) გემოვნური შეგრძნებების ხარისხი

მსაჯები შეაფასებენ გემოვნური შეგრძნებების ხარისხს, რიცხობრივი (ხარისხის) შკალის გამოყენებით, იმ კრიტერიუმით, რომელიც დადგენილია შეჯიბრის დაწყებამდე და ენიჭება 0-6 მდე ქულა.

### საფირმო სასმელის შეფასება

მსაჯები შეაფასებენ საფირმო სასმელს რიცხობრივი (ხარისხის) შკალის გამოყენებით 0-6 მდე ქულით.

- ➢ კარგად განმარტება და წარდგენა: კონკურსანტმა უნდა მოუყვეს მსაჯებს საკუთარი საფირმო სასმელის შესახებ. იმისათვის, რომ მიიღოს მაღალი ქულა, განმარტებაში აღწერილი უნდა იყოს ინგრედიენტები, მომზადების წესი, აგრეთვე გემოვნური მახასიათებლები და სასმელის არომატები. კონკურსანტს შეუძლია

მსაჯებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი, აღნიშნული სასმელის დალევის ფორმასთან დაკავშირებით (მაგ. მოწრუპვა, მორევა), იმ შემთხვევაში, თუ მსაჯებს ამის სურვილი ექნებათ. თუ წინასწარი ინსტრუქციები გაცემული არ იქნება, მსაჯები თავად ინდივიდუალურად შეარჩევენ საფირმო სასმელის შეფასების ფორმას.

- პრეზენტაცია და სიზუსტე: მსაჯები შეაფასებენ სასმელის პრეზენტაციას კრეატიულობისა და ვიზუალური მომხიბვლელობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ისინი შეაფასებენ სასმელის გემოს წარმოდგენილი აღწერისა და განმარტებების მიხედვით.
- გემოვნური თვისებები: მსაჯები შეაფასებენ, სასმელის გემოვნური კომპონენტები რამდენად შეერწყმის ერთმანეთს და ავსებს ერთმანეთს დალევის შემდეგ შექმნილი საერთო შთაბეჭდილებისას. საფირმო სასმელი, რომელიც ქმნის ახალ ან/და უნიკალურ შთაბეჭდილებას, მიიღებს უმაღლეს ქულას. საფირმო სასმელმა, რომელიც ახდენს ესპრესოს გემოს იმიტირებას, შესაძლოა ვერ მიიღოს უმაღლესი ქულა. თუ სასმელი არ არის დაბალანსებული, ან რომელიმე გემოვნური კომპონენტი აფუჭებს სასმელის აღქმას, შეფასება შემცირდება.

## ტექნიკური შედეგის ფურცელი

ყველა კრიტერიუმი, მათ შორის ტექნიკური შეფასების ფურცელი შეფასდება კი/არა შსეფასების შკალით. მონაწილე მიიღებს 1 ქულას თითოეული „კი“ შეფასებისთვის, ხოლო 0 ქულას „არა“ შეფასებისთვის. კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს კონკურსანტი, იმისთვის, რომ მიიღოს „კი“ მოყვანილია ქვემოთ.

### ესპრესოს შეფასება

- ჯგუფის თავის გავლება: პორტაფილერის მოხსნის შემდეგ და ყოველი შემდგომი ექსტრაქციის დაწყებამდე.
- ფილტრის კალათის გაწმენდა/გაშრობა: ფილტრის კალათი უნდა იყოს სუფთა და მშრალი ყოველი დოზირების წინ.
- დასაშვები გაფანტვა/დანაკარგი დოზირებისას/დაფქვისას: ეხება დაფქულ ყავას, რომელიც გამოუყენებელი რჩება პერფორმანსის/შეჯიბრის დროს. თუ დასაშვები გაფანტვა/დანაკარგი აღემატება 5 გრამს თითოეული კატეგორიის სასმელში, მონაწილეს მიენიჭება 0 ქულა.
- თანაბარი დოზირება და ტამპინგი: კონკურსანტმა თანაბრად უნდა გაანაწილოს ყავის მასა, რის შემდეგაც მოახდინოს ტემპინგი სათანადო წნევით.
- პორტაფილერის გასუფთავება (დაყენებამდე): მონაწილემ უნდა გაასუფთაოს პორტაფილერის კალათის კანტები და გვერდითი ნაწილები აპარატში დამონტაჟებამდე.
- დამონტაჟება და დაუყოვნებლივ მომზადება: კონკურსანტმა უნდა დაიწყოს ექსტრაქცია პორტაფილერის დამონტაჟებისთანავე ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.
- ექსტრაქციის დრო (20-30 წამი): ექსტრაქციის დრო უნდა იყოს 20დან 30 წამამდე.

### კაპუჩინოს შეფასება

ტექნიკური უნარები: იგივე რაც ესპრესოს ტექნიკური შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოცემულია ზემოთ.

რძე:

- პიტჩერის (სარძევეს) დაცლა/გასუფთავება დაწყებამდე: სარძევე არ უნდა იყოს სავსე მომზადების დროს. კონკურსანტმა უნდა გადაასხას ცივი, ახალი რძე სუფთა სარძევეში.
- ორთქლის ჯოხის შებერვა ორთქლის გამოშვებამდე. კონკურსანტმა უნდა ჩაბეროს (ჰაერი შეუშვას) ორთქლის ჯოხში სარძევეს დამონტაჟებამდე.
- ორთქლის თავაკის გაწმენდა ორთქლზე მომზადების შემდეგ: ორთქლის თავაკი უნდა გაიწმინდოს სპეციალური თავაკისთვის განკუთვნილი ხელსახოცით/პირსახოცით.
